



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 6

2011 წლის 28 იანვარი
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“
ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №148 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №148 განკარგულებით დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამაში“
2. ცვლილების გათვალისწინებით პროგრამა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მის შესაბამის სამსახურებს.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: კოსტავას ქ. №13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



**ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მდებარე
სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა**

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამა ეფუძნება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონს, შემუშავებულია მისი აღსრულების მიზნით და მიზნად ისახავს ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში არსებული სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) მოვლას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტით“ გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა – 20 000 ლარი.

დასახელება	სულ (თანხა ლარებში)
სხვა აუცილებელი დანახარჯები(მათ შორის დასაქმებული პერსონალის ანაზღაურება)	6665
სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვის უზრუნველყოფა	3960
ტერიტორიების და მათზე განლაგებული ნაგებობების სადღეღამისო დაცვის უზრუნველყოფა	7375
ტერიტორიების და მათზე განთავსებული ნაგებობების და მოწყობილობების შენახვისათვის აუცილებელი მიმდინარე ხარჯები	2000

მუხლი 3. პროგრამის გავრცელების ობიექტები

1. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედია შემდეგი სპორტული მოედნები ქ. ხაშურში– ტაბიძის ქუჩაზე დასვენებისა და კულტურის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტი და მინი ფეხბურთის მოედანი, დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული კომპლექსი, დაბა სურამში აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სპორტული კომპლექსი, სოფელ ქვიშხეთში მდებარე ღია სპორტული სათამაშო მოედანი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების გზები

პროგრამა ხარჯების გათვალისწინებით განხორციელდება მოვლა-შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები, რომლის შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და რაც თავისმხრივ გულისხმობს:

- ა) სპორტული მოედნების (სპორტული კომპლექსების) ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;

მუხლი 5. სხვა დებულებები

იმის გათვალისწინებით რომ ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩა №21-ში და დაბა სურამში რკინიგზის სადგურთან მდებარე სპორტული მოედნების ფუნქციონირება განუყოფელია მიმდებარე პარკების დანიშნულებასთან და განიხილება მიმდებარე კულტურისა და დასვენების პარკებთან მთლიანობაში, პროგრამის გავრცელების გაგრძელებამ უნდა მოიცვას ზემოთ აღნიშნული პარკების მთელი ტერიტორიები.